სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №70/1

დაბა თიანეთი

„2„ „სექტემბერი„ 2016 წ.

<u>ერთის მხრივ,</u> თიანეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლელა ქიტესაშვილის სახით და

<u>მეორეს მხრივ,</u> შპს „შალი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ზურაბ შალიკაშვილის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 31 აგვისტოს №2489 განკარგულების (SMP160002308) საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

<u>1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები:</u>

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 „ტექნიკური დავალება" - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

<u>2. ხელშეკრულების საგანი:</u>

2.1 ხელშეკრულების საგანია: ზარიძეების ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ზენამხარის დამაკავშირებელი გზის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა.

2.2 SMP მოდულის მეშვეობით წარდგენილი მომართვის ნომერი - SMP160002308;

2.3 კლასიფიკატორის კოდი - CPV - 45233000 - გზატკეცილების, გზების მშენებლობა, საძირკვლის მომზადებისა და ზედა ფენის გადაგების სამუშაოები.

2.4 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.5 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ".

<u>3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:</u>

3.1 მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება მის მიერ წარმოდგენილი ამ ხელშეკრულების გეგმა-გრაფიკით (მოცულობების შესაბამისად თანხებში გაწერილი) გათვალისწინებული სამუშაოების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, ინსპექტირება ასევე შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში;

3.2 მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით შემსყიდველის მოთხოვნისთანავე;

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის და/ან ნაკლის აღმოფხვრა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

4. მომსახურების შესრულების პირობები:

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულების დანართი №1-ით (ხარჯთაღრიცხვით) გათვალისწინებული სამუშაოები დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2016 წლის 17 ოქტომბრამდე** საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტებისა, წესების მოთხოვნების გათვალისწინებით და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინებით წარმოადგინოს უკვე შესრულებული სამუშაოების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია შუალედური ფორმა №2, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების 4.1 პუნქტით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გეგმა-გრაფიკით გაწერილი სამუშაოების შესაბამისად შუალედური ფორმა №2-ის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.4 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოხრეშვის სამუშაოების შესრულებისას ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოხლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოახდინოს უსაფრთხოების ნორმების ყოველმხრივი უზრუნველყოფა. გარდა აღნიშნულისა, ეკოლოგიურად მისაღები გზით უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეებისა და მცენარეების სიცოცხლის უნარიანობა. მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.

4.5 შემსყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებას უკავშირებს ვალდებულების დროულ შესრულებას. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

4.6 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესრულება.

5. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები ჩაატაროს ხარისხიანად, იმ მოცულობებისა და პარამეტრების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია სატენდერო დოკუმენტაციით (ხარჯთაღრიცხვით და პროექტით გათვალისწინებულ ნახაზებით) და ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტის პირობების სრული დაცვით.

5.2 საგარანტიო პერიოდში შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას შეტყობინებების საფუძველზე საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3 სამუშაოების დასრულების შემდეგ ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია შემსრულებლის მიერ უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი:

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის შედგენისა ან/და შესაბამისი ფორმა №2-ის ხელმოწერის შემდეგ.

6.2 საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, აკრედიტებული პირის ან დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების ურთიერთშესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან, თანდართულ ნახაზებთან, ესკიზებთან, სპეციფიკაციებთან) და წარმოდგენილი შესრულების აქტებთან (ფორმა №2-ებთან). ექსპერტის მოწვევა და ექსპერტიზის ღირებულების გადახდა განხორციელდება მიმწოდებლის მიერ.

7. ანგარიშსწორება:

7.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო;

7.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ჯამური ღირებულება;

7.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი) არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.5 მიმწოდებლის მიერ სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია ეტაპობრივად განახორციელოს შუალედური ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე (შუალედური ფორმა №2–ების მიხედვით).

7.6 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფორმა №2-ს წარმოდგენის შემდეგ პირველ ეტაპზე არ აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება არაუმეტეს 80 %-სა.

7.7 დარჩენილი 20%-ის ანაზღაურება მოხდეს სამუშაოს დასრულების შემდეგ ეტაპობრივად, ორ ნაწილად, მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ: პირველი ნაწილის (10%) ანაზღაურება მოხდება აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღეში, ხოლო მეორე ნაწილის (10%) ანაზღაურება - 10 სამუშაო დღეში.

7.8 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8. ფასები:

8.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 9 705 (ცხრა ათას შვიდას ხუთი) ლარს დღგ-ს გარეშე.

9. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა:

9.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

9.2 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში მოსალონდელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

10.1 ხელეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით, მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა:

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

12. სუბ-კონტრაქტორები:

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

13.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, ეს ჩაითვლება ამ ხელშეკრულების ძირითადი პირობების დარღვევად და შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ეს განხილული იქნეს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად;

13.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

13.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

13.4 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ გაუარესდა მხარის ფინანსური მდგომარეობა ან დადგა ასეთის საშიშროება;

დ) მხარის მიმართ არის ბანკროტად გამოცხადების მოთხოვნა;

ე) თუ მიმწოდებლის მიმართ სახელმწიფო ორგანოების ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება ან გამოყენებულია ღონისძიება, რომელიც არსებითად ართულებს ან შეუძლებელს ხდის მათ მიერ საკუთარი ქონების განკარგვას.
ვ) თუ მხარეები უარს იტყვიან წინადადებაზე, შეცვალონ ეს ხელშეკრულება ვითარების მნიშვნელოვანი შეცვლის გამო;
ზ) თუ შესრულებამ შემსყიდველისათვის დაკარგა მნიშვნელობა.
თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ფორს-მაჟორი:

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა:

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი:

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. გადასახადები და დაბეგვრა:

17.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. სხვა პირობები:

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავის სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18.6 ყველა ის შეთანხმება და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, სამართალმემკვიდრეების, მემკვიდრეების, წარმომადგენლების, რწმუნებულების და მუშაკებისათვის.

18.8 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვალა მიმწოდებლის რეკვიზიტები, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ამის შესახებ.

18.9 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც არსებითად ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლს ან პუნქტს, არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების გაუქმებას. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი და პუნქტი უნდა მიესადაგოს ახალ კანონმდებლობას.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 17 ნოემბრამდე.

20. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
დასახელება: თიანეთის მუნიციპალიტეტი	დასახელება: შპს „შალი“
მისამართი: დ. თიანეთი რუსთაველის ქ. №67	მისამართი: ქ. დუშეთი, თამარ მეფის ქ. №28
ტელეფონი: 0 (348) 29-14-14	ტელეფონი: 555 30 00 55
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22	მომსახურე ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“ LBRTGE22
ა/ნ: GE24NB0330100200165022	ა/ნ: GE43LB0113114394270001
საიდენტიფიკაციო კოდი: 232388378	საიდენტიფიკაციო კოდი: 429321469
ხელმოწერა _____	ხელმოწერა _____
ბ.ა	ბ.ა